20

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №320206/01/300

(CPV) კოდი: **22111000** - სასკოლო წიგნები

(SMP150000307)

ქ. თბილისი 24 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") დირექტორის გრიგოლ გაგოშიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „მვპ" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა ფაჩუაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 ნოემბრის N1056 განკარგულების, 2015 წლის 24 ნოემბრის N1222296 სამსახურებრივი ბარათისა და შ.პ.ს. „მვპ"-ს 2015 წლის 24 ნოემბრის N1221888 კორესპონდენციის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი/მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ოქროს დისკი" - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთჯერადი გამოყენების ინტელექტუალური პროდუქტი, რომელიც შეიცავს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ბეჭდვის წესს, ტექნიკურ ფორმატსა და აღწერილობას (შინაარსს), რომელიც ერთჯერადი გამოყენების უფლებით გადაეცემა მიმწოდებელს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, რის შემდგომაც „ოქროს დისკი" უბრუნდება მხარეს.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების მოწოდება.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების პირობები, ერთეულის ფასები და აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, დანართი N1, N2 და N3 რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 07 იანვრის ჩათვლით და/ან მის სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

## 4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 169 911.80 (ასსამოცდაცხრა ათას ცხრაასთერთმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, დღგ-ს გარეშე.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და მიწოდების ხარჯებს.

## 5. საქონლის/მომსახურების მიწოდების გაწევის ვადები, წესი და ადგილი

5.1. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. საქონლის განთავსების (მოწოდების) ადგილი - ქ. თბილისი, დიდი ლილო, ერეკლე მეორის ქუჩა.

5.3. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების მოწოდება უნდა განხორციელდეს სათანადო შეფუთვით (პოლიეთილენი ან ქაღალდი) რაზედაც აღნიშნული იქნება კონკრეტული სახელმძღვანელოს დასახელება, რაოდენობა და სახელმძღვანელოს კოდი.

5.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. თბილისი, ხოლო მოწოდება განხორციელდება ქ. თბილისის ტერიტორიაზე შემსყიდველის მიერ მითითითებულ კონკრეტულ მისამართებზე.

## 6. მხარეთა ვალდებულებები და გარანტიები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება. ამასთან იგი ვალდებულია სახელმძღვანელოების ბეჭდვის მასალებში გამოიყენოს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა მასალები, რაზედაც ხელშკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღისა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6.2. თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი/მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი/წუნდებული/ხარვეზის მქონე მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა ხელშეკრულების 11.3. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობებით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება უშუალოდ წარმოების პროცესის ადგილზე;

6.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხარისხის პრევენციის მიზნით, განახორციელოს „ოქროს დისკში" მოცემული ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოსთან მიმართებაში;
6.7. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მისთვის დაუძლეველი გარემოებების დადგომისას, რითაც საფრთხე შეექმნება ვალდებულების შესრულებას, დაუყოვნებლივ გამონახოს ალტერნატიული გზები და საშუალებები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით.
6.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, იმ დროისთვის დასრულებული (მზა) პროდუქცია სრულად გადასცეს შემსყიდველს.
6.9. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მისთვის ერთჯერადი სარგებლობისთვის გადაცემული „ოქროს დისკი" დაუყოვნებლივ დაუბრუნოს შემსყიდველს სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით.
6.10. ხელშეკრულების ფარგლებს მიღმა განხორციელებულ ბეჭდვაზე და ტირაჟირებაზე, პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მიმწოდებელს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.11. შემსყიდველი აცხადებს, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება, გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება, ამასთან უფლება აქვს დაბეჭდოს და გაავრცელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასკოლო გამოცემები.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
7.3. შემსყიდველი მოწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორებას განახორციელებს ეტაპობრივად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, სათნადო მიღება-ჩაბარების გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას უშუალოდ საწარმოო პროცესის ადგილზე. ინსპექტირების ჯგუფის წევრები განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით, რომელთა ვინაობა წერილობით წინასწარ იქნება ცნობილი მიმწოდებლისთვის, ამასთან მიმწოდებელი ვალდებულია ინსპექტირების ყველა ეტაპზე ხელი შეუწყოს და ყველა პირობა შეუქმნას შემსყიდველს ინსპექტირების სრულყოფილად განხორციელებისათვის.
8.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
9.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართზე საქონლის განთავსების (მოწოდების) შემთხვევაში - ქ. თბილისი, დიდი ლილო ერეკლე მეორის ქუჩა.
9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება ჩაითვლება მიღებულად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურა.
9.4. შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა.
9.5. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილი პირია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის ლოჯისტიკოსი კონსტანტინე ონოფრიშვილი.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფის მიერ აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რა დროსაც მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% -ით.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
11.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.
11.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული კონრეტული ეტაპის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელს ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით
ბ) განუსაზღვროს მომსახურების გაწევისთვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 2 (ორი) კალენდარული დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ეტაპზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

11.5. თუ კი შემსყიდველს შექმნილი ფაქტობრივი გარემოების შეფასების შედეგად წარმოეშობა საფუძვლიანი ეჭვი რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, ხოლო შემსყიდველის ვალდებულება იქნება შესრულებული (თანხის გადახდის ნაწილში), იგი უფლებამოსილია ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება რა შემთხვევაშიც მიმწოდებელს ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ).
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რაც წერილობით უნდა დაუდასტუროს შემსყიდველმა. თუ შემსყიდველი დამდგარ გარემოებას არ ჩათვლის ფორსმაჟორად, მიმწოდებელი ვალდებულია გააგრძელეოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და გამონახოს ამ ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები და გზები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.
12.4. მხარეთა მიერ გათვალისწინებული ფორსმაჟორული გარემოებების გასვლის შემდეგ, თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

## 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
13.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.5. ხელშეკრულების 13.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 14. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

14.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მოითხოვება;

## 15. დავების გადაჭრის წესი

15.1. ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

## 16. დასკვნითი დებულებები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი TRESGE22, 101222
დირექტორი გრიგოლ ბეგოშიძე

____________________
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „მვპ", პრეტენდენტის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედ. N7/2, ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას N45; ს/კ 204465131; ს.ს. „თი ბი სი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/აGE24TB0600000018467568; ტ: 2 40 94 48, 599 22 09 49;
დირექტორი მამუკა ფაჩუაშვილი

____________________
(ხელმოწერა)

დანართი N1

- საქონლის/მომსახურების ტექნიკური პირობები:

  - დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და რვეულები დამზადებული უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან.
  - გამოცემათა დასამზადებლად საჭიროა გამოყენებული იქნეს ქაღალდი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ წიგნების დასაბეჭდად (ოფსეტური, ტიპოგრაფიული, საწიგნო-საჟურნალო და სხვ.) სითეთრის მაჩვენებლით – 74-88%;
  - დაუშვებელია ქაღალდის გამოყენება, რომლის გამჭირვალობის კოეფიციენტი – 91%-ზე ნაკლებია;
  - შიგთავსი (წიგნის, რვეულის) - არანაკლებ 60 გრ. და არაუმეტეს 80 გრ. ნაკლებად ცარცირებული ან არანაკლებ 60 გრ. და არაუმეტეს 80 გრ. ოფსეტისა;
  - წიგნის გარეკანი - არანაკლებ 190-200 გრ ცარცირებული/ზრისტოლი;
  - რვეულის გარეკანი- არანაკლებ 170 გრ ცარცირებული/ზრისტოლი;
  - აკინძვა: სტეპლერი/თერმო;
  - დამატებითი პირობები მოცემულია დანართი N2-სა და დანართი N3-ში.

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „მვპ", პრეტენდენტის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედ. N7/2, ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას N45; ს/კ 204465131; ს.ს. „თი ბი სი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE24TB0600000018467568; ტ: 2 40 94 48, 599 22 09 49;
დირექტორი მამუკა ფაჩუაშვილი

(ხელმოწერა)

დანართი N2

| N | სეგმენტი | გამომცემლობა | წიგნის კოდი | კლასი | საგანი | წიგნის დასახელება | ავტორი | სახელმძღვანელოების რაოდენობა | გვერდები | ფორმატი | შიგთავსის ბეჭდვა | გარეკანის ბეჭდვა | რვეულების რაოდენობა | გვერდები | ფორმატი | შიგთავსის ბეჭდვა | გარეკანის ბეჭდვა | სახელმძღვანელოების ერთეულის ფასი | სახელმძღვანელოების ფასი ჯამი | რვეულების ერთეულის ფასი | რვეულების ფასი ჯამი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქართული | საგამომცემლო ამხანაგობა "წყაროსთვალი" | 28 | 1 | მუსიკა | მუსიკა | მ. ოთიაშვილი | | 60 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 1,000 | 32 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 1.63 | 1,630.00 | 1,630.00 |
| 2 | ქართული | საგამომცემლო ამხანაგობა "წყაროსთვალი" | 41 | 2 | მუსიკა | მუსიკა | მ. ოთიაშვილი | | 68 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 1,800 | 44 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 1.45 | 2,610.00 | 2,610.00 |
| 3 | ქართული | საგამომცემლო ამხანაგობა "წყაროსთვალი" | 46 | 3 | მუსიკა | მუსიკა | მ. ოთიაშვილი | | 68 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 600 | 52 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 2.60 | 1,560.00 | 1,560.00 |
| 4 | ქართული | საგამომცემლო ამხანაგობა "წყაროსთვალი" | 71 | 4 | მუსიკა | მუსიკა | მ. ოთიაშვილი | | 96 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 1,000 | 58 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 2.10 | 2,100.00 | 2,100.00 |
| 5 | ქართული | საგამომცემლო ამხანაგობა "წყაროსთვალი" | 67 | 5 | მუსიკა | მუსიკა | მ. ოთიაშვილი | | 76 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 500 | 40 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 3.10 | 1,550.00 | 1,550.00 |
| 6 | ქართული | საგამომცემლო ამხანაგობა "წყაროსთვალი" | 97 | 6 | მუსიკა | მუსიკა | მ. ოთიაშვილი | | 88 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 500 | 44 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 3.30 | 1,650.00 | 1,650.00 |
| 7 | ქართული | ფიზიკური პირები ალექსანდრე საყვარელიძე და თინა ბუჩუკური | 22 | 1 (I-I) | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ა. საყვარელიძე, თ. ბუჩუკური | | 132 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 150 | 32 | 275X195. | 4+4 | 4+4(1+1,2+2) | | - | 4.60 | 690.00 | 690.00 |
| 8 | ქართული | ფიზიკური პირები ალექსანდრე საყვარელიძე და თინა ბუჩუკური | 22 | 1 (I-II) | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ა. საყვარელიძე, თ. ბუჩუკური | | 100 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 400 | 32 | 275X195. | 4+4 | 4+4. (1+1;2+2) | | - | 5.50 | 2,200.00 | 2,200.00 |
| 9 | ქართული | ფიზიკური პირები ალექსანდრე საყვარელიძე და თინა ბუჩუკური | 40 | III-I | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ა. საყვარელიძე, თ. ბუჩუკური | | 210 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | - | 48 | 275X195. | 4+4 | 4+4. (1+1;2+2) | | - | | - | - |
| 10 | ქართული | ფიზიკური პირები ალექსანდრე საყვარელიძე და თინა ბუჩუკური | 40 | III-II | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ა. საყვარელიძე, თ. ბუჩუკური | | | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 100 | 56 | 275X195. | 4+4 | 4+4. (1+1;2+2) | | - | 2.40 | 240.00 | 240.00 |
| 11 | ქართული | ფიზიკური პირები ალექსანდრე საყვარელიძე და თინა ბუჩუკური | 63 | 4 | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ა. საყვარელიძე, თ. ბუჩუკური | | 218 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 100 | 60 | 275X195. | 4+4 | 4+4. (1+1;2+2) | | - | 2.50 | 250.00 | 250.00 |
| 12 | ქართული | ფიზიკური პირები ალექსანდრე საყვარელიძე და თინა ბუჩუკური | 59 | 5 | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ა. საყვარელიძე, თ. ბუჩუკური | | 224 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 100 | 48 | 275X195. | 4+4 | 4+4. (1+1;2+2) | | - | 1.52 | 152.00 | 152.00 |
| 13 | ქართული | ფიზიკური პირი - ირინა რუხაძე | 20 | 1 | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ირინა რუხაძე | | 160 | 275X195. | 4+4(1+1) | 4+4. | 800 | 72 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 2.50 | 2,000.00 | 2,000.00 |
| 14 | ქართული | ფიზიკური პირი - ირინა რუხაძე | 27 | 2 | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ირინა რუხაძე | | 224 | 275X195. | 4+4(1+1) | 4+4. | 100 | 72 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 3.60 | 360.00 | 360.00 |
| 15 | ქართული | ფიზიკური პირი - ირინა რუხაძე | 39 | 3 | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ირინა რუხაძე | | 220 | 275X195. | 4+4(1+1) | 4+4. | 400 | 76 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 4.90 | 1,960.00 | 1,960.00 |
| 16 | ქართული | ფიზიკური პირი - ირინა რუხაძე | 60 | 4 | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | ირინა რუხაძე | | 224 | 275X195. | 4+4(1+1) | 4+4. | 350 | 30 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 1.20 | 420.00 | 420.00 |

[redacted]

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 23 | 1 | ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) | ბუნებისმეტყველება | ბ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, ლ. კურტანიძე | 6,000 | 120 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | | 275X195. | 4+4(1+1.2+2) | 4+4. | 1.70 | 10,200.00 | | - | 10,200.00 |
| 18 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 32 | 2 | ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) | ბუნებისმეტყველება | ბ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, ლ. კურტანიძე | | 80 | 275X195. | 4+4(1+1) | 4+4. | 750 | 60 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 3.24 | 2,430.00 | 2,430.00 |
| 19 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 42 | 3 | ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) | ბუნებისმეტყველება | ბ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, ლ. კურტანიძე | | 160 | 275X195. | 4+4(1+1) | 4+4. | 300 | 96 | 275X195. | 72გვ 1+1 24გვ 4+4 | 4+4. | | - | 2.50 | 750.00 | 750.00 |
| 20 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 65 | 4 | ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) | ბუნებისმეტყველება | ბ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, ლ. კურტანიძე | | 176 | 275X195. | 4+4(1+1) | 4+4. | 500 | 80 | 275X195. | 56გვ 1+1; 24გვ 4+4 | 4+4. | | - | 2.90 | 1,450.00 | 1,450.00 |
| 21 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 61 | 5 | ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) | ბუნებისმეტყველება | ბ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, ლ. კურტანიძე | | 224 | 275X195. | 4+4(1+1) | 4+4. | 300 | 88 | 275X195. | 66გვ 1+1; 22გვ 4+4 | 4+4. | | - | 4.00 | 1,200.00 | 1,200.00 |
| 22 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 88 | 6 | ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) | ბუნებისმეტყველება | ბ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, ლ. კურტანიძე | | 198 | 275X195. | 4+4(1+1) | 4+4. | 300 | 88 | 275X195. | 50გვ 1+1; 38 4+4 | 4+4. | | - | 4.10 | 1,230.00 | 1,230.00 |
| 23 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 14 | 1 | ქართული ენა და ლიტერატურა (I-XII კლასები) | ქართული ენა და ლიტერატურა | ნ. გორგილაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუხიანიძე | | 120 | 275X195. | 4+4.(1+1) | 4+4. | 750 | 72 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 3.79 | 2,842.50 | 2,842.50 |
| 24 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 15 | 2 | ქართული ენა და ლიტერატურა (I-XII კლასები) | ქართული ენა და ლიტერატურა | ნ. გორგილაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუხიანიძე | 300 | 172 | 275X195. | 4+4. | 4+4. | 400 | 120 | 275X195. | 2+2 | 4+4. | 3.80 | 1,140.00 | 4.00 | 1,600.00 | 2,740.00 |
| 25 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 33 | 3 | ქართული ენა და ლიტერატურა (I-XII კლასები) | ქართული ენა და ლიტერატურა | ნ. გორგილაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუხიანიძე | | 216 | 275X195. | 4+4.(1+1) | 4+4. | 500 | 64 | 275X195. | 4+4(1+1.2+2) | 4+4. | | - | 2.70 | 1,350.00 | 1,350.00 |
| 26 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 50 | 4 | ქართული ენა და ლიტერატურა (I-XII კლასები) | ქართული ენა და ლიტერატურა | ნ. გორგილაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუხიანიძე | | 228 | 275X195. | 4+4.(1+1) | 4+4. | 250 | 72 | 275X195. | 4+4(1+1.2+2) | 4+4. | | - | 2.50 | 625.00 | 625.00 |
| 27 | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" | 51 | 5 | ქართული ენა და ლიტერატურა (I-XII კლასები) | ქართული ენა და ლიტერატურა | ნ. გორგილაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუხიანიძე | | 264 | 275X195. | 4+4.(1+1) | 4+4. | 250 | 40 | 275X195. | 4+4(1+1.2+2) | 4+4. | | - | 3.90 | 975.00 | 975.00 |
| 28 | ქართული | შპს "გამომცემლობა არტანუჯი" | 651 | | ინგლისური ენა | ინგლისური ენა ს1 | მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩიქაძე, თამარ ჩიქვაძე | - | 128 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 500 | 68 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 2.80 | 1,400.00 | 1,400.00 |
| 29 | ქართული | შპს "გამომცემლობა არტანუჯი" | 652 | | ინგლისური ენა | ინგლისური ენა ს2 | მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩიქაძე, თამარ ჩიქვაძე | 10,200 | 128 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 6,000 | 84 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 2.10 | 21,420.00 | 1.90 | 11,400.00 | 32,820.00 |
| 30 | ქართული | შპს "გამომცემლობა არტანუჯი" | 653 | | ინგლისური ენა | ინგლისური ენა ს3 | მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩიქაძე, თამარ ჩიქვაძე | 200 | 108 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 700 | 80 | 275X195. | 4+4(1+1.2+2) | 4+4. | 2.90 | 580.00 | 2.50 | 1,750.00 | 2,330.00 |
| 31 | ქართული | შპს "გამომცემლობა ინტელექტი" | 19 | 1 | მათემატიკა (I-XII კლასები) | მათემატიკა | გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. ლომაია, ლ. ქეცხაძე (ტერმინები) | | 240 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 2,200 | 84 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 1.80 | 3,960.00 | 3,960.00 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 32 | ქართული | შპს "განათლების ინტელექტი" | 38 | 2 | მუსიკა (I-IX კლასები) | მუსიკა | მ. ჩიკვაიძე | | 98 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 250 | 28 | 275X195. | 2+2 | 4+4. | | - | 1.25 | 312.50 | 312.50 |
| 33 | ქართული | შპს "განათლების ინტელექტი" | 45 | 3 | მუსიკა (I-IX კლასები) | მუსიკა | მ. ჩიკვაიძე | | 98 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 250 | 32 | 275X195. | 2+2 | 4+4. | | - | 1.56 | 390.00 | 390.00 |
| 34 | ქართული | შპს "განათლების კლიო" | 31 | 1 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) | ხელოვნება | ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე, ი. ჯაყელი | | 112 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 500 | 76 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 3.80 | 1,900.00 | 1,900.00 |
| 35 | ქართული | შპს "განათლების კლიო" | 47 | 2 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) | ხელოვნება | ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე, ი. ჯაყელი | | 112 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 500 | 72 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 3.60 | 1,800.00 | 1,800.00 |
| 36 | ქართული | შპს "განათლების კლიო" | 49 | 3 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) | ხელოვნება | ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე, ი. ჯაყელი | | 80 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 350 | 80 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 1.25 | 437.50 | 437.50 |
| 37 | ქართული | შპს "განათლების კლიო" | 75 | 4 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) | ხელოვნება | ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე, ი. ჯაყელი | | 100 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 350 | 76 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 4.00 | 1,400.00 | 1,400.00 |
| 38 | ქართული | შპს "განათლების კლიო" | 72 | 5 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) | ხელოვნება | ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე, ი. ჯაყელი | | 114 | 275X195. | 4+4. (1+1) | 4+4. | 850 | 84 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 3.97 | 3,371.95 | 3,371.95 |
| 39 | ქართული | შპს „საგამომცემლო სახლი "სწავლანი", შპს "გაზეთი საქართველოს მაცნე" | 17 | 1 | ქართული ენა და ლიტერატურა (I-XII კლასები) | ქართული ენა და ლიტერატურა | ე. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ქ. თოფაძე, ლ. ვაშაკიძე, ა. არაბული, ნ. ნაკუდაშვილი, მ. ხუციშვილი, ე. | | 136 | 275X195. | 4+4.(1+1) | 4+4. | 900 | 96 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 2.70 | 2,430.00 | 2,430.00 |
| 40 | ქართული | შპს „საგამომცემლო სახლი "სწავლანი", შპს "გაზეთი საქართველოს მაცნე" | 21 | 2 | ქართული ენა და ლიტერატურა (I-XII კლასები) | ქართული ენა და ლიტერატურა | ე. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ქ. თოფაძე, ლ. ვაშაკიძე, ა. არაბული, ნ. ნაკუდაშვილი, მ. ხუციშვილი, ე. | 800 | 176 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 550 | 144 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 4.10 | 3,280.00 | 3.80 | 2,090.00 | 5,370.00 |
| 41 | ქართული | შპს „საგამომცემლო სახლი "სწავლანი", შპს "გაზეთი საქართველოს მაცნე" | 36 | 3 | ქართული ენა და ლიტერატურა (I-XII კლასები) | ქართული ენა და ლიტერატურა | ე. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ქ. თოფაძე, ლ. ვაშაკიძე, ა. არაბული, ნ. ნაკუდაშვილი, მ. ხუციშვილი, ე. ქურდიაძე | | 168 | 275X195. | 4+4.(1+1) | 4+4. | 500 | 120 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 4.60 | 2,300.00 | 2,300.00 |
| 42 | ქართული | შპს „საგამომცემლო სახლი "სწავლანი", შპს "გაზეთი საქართველოს მაცნე" | 55 | 4 | ქართული ენა და ლიტერატურა (I-XII კლასები) | ქართული ენა და ლიტერატურა | ე. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ქ. თოფაძე, ლ. ვაშაკიძე, ა. არაბული, ნ. ნაკუდაშვილი, მ. | | 232 | 275X195. | 4+4.(1+1) | 4+4. | 400 | 76 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 5.00 | 2,000.00 | 2,000.00 |
| 43 | ქართული | შპს "განათლების დიოგენე" | 579 | | რუსული ენა | რუსული ენა ბ2 | მაია რეკია, ხათუნა ლოლაძე, ილონა ძნელაძე და ქეთევან შოშიაშვილი | 3,100 | 160 | 275X195. | 4+4 | 4+4. | 2,000 | 40 | 275X195. | 1+1(2+2.4+4) | 4+4. | 2.70 | 8,370.00 | 3.25 | 6,500.00 | 14,870.00 |
| 44 | ქართული | შპს "განათლების მერიდიანი" | 24 | 1 | ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) | ბუნებისმეტყველება | ლ. შალვაშვილი, მ. მაჭავარიანი, ნ. ტაბიძე | | 48 | 275X195. | 4+4.(1+1) | 4+4. | 400 | 60 | 275X195. | 4+4 | 4+4. | | - | 4.20 | 1,680.00 | 1,680.00 |
